ქ. თბილისის მერის

ბრძანება №2

2013 წლის 15 იანვარი

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2010 წლის 24 დეკემბრის №28 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

.,,ქალაქ თბილისის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2010 წლის 24 დეკემბრის №28 ბრძანებით (სსმ, 72 31/12/2010 წ., სარეგისტრაციო კოდი 010250000.52.101.016003) დამტკიცებულ „ქ. თბილისის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის დებულებაში“ შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება:

ა) მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ“ ქვეპუნქტი:

„ზ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით გასცემს საჯარო ინფორმაციას და ამზადებს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტისთვის წარსადგენ ანგარიშს;“;

ბ) მე-8 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე^{1}“ ქვეპუნქტი:

„ე^{1}) უზრუნველყოფს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით საჯარო ინფორმაციის გაცემას;“.

მუხლი 2

ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქ. თბილისის მერი **გიორგი უგულავა**